აქტი ოთხეთრის ბრისეთ ყორნეთ

116

საქართველოს ეროვნული
ფონდი 287 1 116

საქართველოს ეროვნული
ფონდი 287 1 116

საქართველოს ეროვნული
ARCHIVE OF GEORGIA

დასკანირებულია
16.01.2025 (20)

33.

# კავკასიის მისადგომებთან

## 1. უაბარდოელი დარიკო

**აკაკი თოფურია**

1942 წლის მრისხანე დღეებში ჩვენი ჯარები ცხარე ბრძოლებს ეწეოდნენ კავკასიის მისადგომებთან. სისხლით შეიღება ბაქსანის მჭუხარე ტალღები, ძაუჯიკაუს ალმოსავლეთით გაჭიმული ველები. გაცოფებული მტერი, დიდი ზარალის მიუხედავად, მაინც წინ მოიწევდა და ლამობდა ჩვენს მომწყვდევას ჩრდილოეთ კავკასიის მთების ვიწროებში.

იმ დროს მე ფრონტზე ვიყავი. დავალებული მქონდა მაშველ ძალები ჩამეყვანა იმ სოფელში, სადაც № დივიზია იგერიებდა იმ ხანად შეტევაზე ახლად გადმოსულ გერმანელთა ჯარებს.

უნდა გადაგვეევლო მთა. მქონდა რუკა. ვიცოდი მიმართულება. მაგრამ მაინც კომპასითა და ★

★

თითქოს მიმიხვდაო, ჩუმად და გაუბედავად თქვა:

— მე თქვენიანი ვარ.

გამოველაპარაკე. რუსულს მკაფიოდ, გარკვეულად ლაპარაკობდა. როცა დარწმუნდა, რომ საბჭოთა არმიის ერთ- ერთი ქვეგანაყოფის მეთაური ვიყავი, წამსვე მოვიახლოვდა, ჩამომართვა ხელი და თაბამი, მტკიცე ხმით „გამარჯობაო“ მითხრა; ჩემს წინაშე ახალგაზრდა ქალიშვილი იყო.

— ვინა ხართ თქვენ, აქ რა გინდათ? — ცნობისმოყვარეობით შევეკითხე მცირე პაუზის შემდეგ.

— როგორ თუ რა მინდა,—გათვალო, ვიცი როგორი ხალხი ცხოვრობს იქ.

— საიდან იცი?

— ვისწავლე. სკოლაში ვისწავლე. მერე კომკავშირის რაიკომში ვმუშაობდი ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად. ჩემი რაიონი ახლა მტრის ხელშია, — ამოიოხრა მან, — კომკავშირის მუშაკებმა პარტიზანული რაზმი შეექმენით და ორი თვეა ვებრძვით გერმანელებს. იცი კიდევ საიდან ვიცნობ ქართველებს? მე კინოფილმი „დარიკო“ მინახავს, რამდენიმეჯერ ვნახე ეს სურათი. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი. ის ქართველი ქალი მას მერე ჩემი ოცნება იყო.

ეს სიტყვები რომ გავიგონე, გული სიხარულით ამევსო. აი რა ძალა ჰქონია ხელოვნებას, როგორ აახლოვებს ის ხალხებს. ეს უაბარდოელი ქალიშვილი, აქ, ბრძოლის ველზე იხსენებს მამაც ქართველ ქალს და ეს გახსენება მას ძალას მატებს, საბრძოლველად შთააგონებს.

საუბარში განთიადმა მოგვისწრო. წუთიც არ დაგვიყოვნებია. იგი გაგვიძღვა წინ, როგორც მეგზური, მოხერხებული, მოკლე გზით რამდენიმე საათის შემდეგ ვაკეზე ჩაგვიყვანა. ჩვენ ფრთხილად მივდიოდით, მაღლით მოჩანდა ფრონტის ხაზი, გერმანელების მიერ სახელდახელოდ აგებული სიმაგრეები. ბილიკებზე იგი გაწაფულ მონადირესავით მიდიოდა. აი დანიშნულ ადგილსაც მივუახლოვდით. იგი დაჯდა ჩემს პირდაპირ, ქვაზე, უფრო დაკვირვებით შევხედე მის სახეს და მართლაც თამარ ციციშვილის დარიკო გამახსენდა: თეთრი სახე სიკეთისა და ვაჟკაცური გამბედაობის იერით აღბეჭდოდა, ლერწამისებური ტანი ჰქონდა, მისი ათქვირებული მკერდი მაზარაში თითქოს ვეღარ ეტეოდა.

— თქვენ მართლაც ნამდვილი დარიკო ხართ! — აღტაცებით ვუთხარი მე.

— მხოლოდ უაბარდოელი დარიკო, — მიპასუხა მან და გაიცინა. როგორ შვენოდა მას ღიმილი. უცებ წამოდგა.

— აი, ის სოფელიც, — მიმითითა მან ხელით, — მე უნდა წავიდე, მეჩქარება.

• • •

ორი თვის შემდეგ ჩრდილოეთ

ბუტით ონდა მევლო. ციცაბო კლდეებზე მივდიოდით, მივდევდით ხეობებში დახვეულ ბილიკს, რომელიც ხან ზევით, მთის წვეროზე ამოგვაყოფინებდა თავს, ხან ქვევით, ხრამში ჩაგვიყვანდა, ხან გარშემო შემოუვლიდა უზარმაზარ კლდეს.

ალბათ ისევე ლამაზი იყო კავკასიონი, როგორც ყოველთვის, მაგრამ მაშინ მის საცქერად ვის ეცალა. დრო, სამხედრო ბრძანებით განსაზღვრული დრო, წინ მეძახოდა. ნახევარზე მეტი ხანი გასული იყო და ჩვენ კი ჯერ ისევ მთებში ვიყავით გაჩხირული. ეჭვი ჩუმად ეჭარებოდა გულს. მიმიყვანს კი ეს ბილიკი იმ სოფლამდე? დროზე მივალთ? — ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს და მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით მივიჩქაროდით წინ.

გადავწყვიტე განთიადამდე მოგვეცადნა. მებრძოლებს ვუთხარი შეჩერებულიყვნენ, გუშაგები გამოეყოთ და დაესვენათ. მე მთის ფერდობზე, ერთი ხის ძირას ქვა მოვნახე, მაზარაში გავეხვიე და მივწექი. შორიდან მდინარის ტალღების ხმაური მოისმოდა. სულ ახლოს გრიალებდნენ ზარბაზნები. დაღლილ მებრძოლებს უცებ ჩაეძინათ; მე კი ძილი გამიფრთხა, მეტად შეშფოთებული ვიყავ. ვაი, თუ გზას ავცდით-ნეთქი, ვფიქრობდი.

ხეს ფოთოლი მოწყდა, ჩამოვარდა, შუბლზე დამეცა. ფიქრებიდან გამოვფხიზლდი. ოფლი მომსვლოდა. ფოთოლი გულმოსულად ხელში ჩავიფშვენი. გულზე ნაღველი შემომაწვა.

— სდექ, ხელები მაღლა!—მომესმა უცებ გუშაგის ხმა. წამოვდექი და მცირე ხნის შემდეგ ჩემსკენ წამოსული ჯარისკაცი დავინახე.

— ამხანაგო მეთაურო! ჩვენსკენ მოდიოდა.

— გერმანელია?

— არ ვიცი. ხმას არ იღებს! — მიპასუხა გუშაგმა.

— იქნებ ვინმე გზადაბნეულია, — წაიყვანეთ, უდარაჯეთ.— ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვუპასუხე გუშაგს. მინდოდა ჩქარა მომეშორებინა, რომ კვლავ განმეგრძო ფიქრები ხვალინდელ დღეზე.

ტყვეს მე ვერ ვხედავდი, ჩემს წინ შავი სილუეტი იდგა, იგი სდუმდა, მაგრამ როცა „წაიყვანეთ-მეთქი" ვუთხარი გუშაგს, ოცებით მიპასუხა მან, — ეს ხომ ჩვენი მთებია. მე აქაური ვარ!

— მეგზურობა უნდა გაგვიწიო, — ვუთხარი და ჩემს უნებურად ხმაში მუდარის კილო გაისმა.

მკითხა საით მივდიოდით და დამეთანხმა. უცებ გამახსენდა, რომ მისი სახელიც არ ვიცოდი.

— თქვენი სახელი? — ვკითხე.

— მარიადა!

— მაშ ასე, მარიადა! მე ძალიან მცირე დრო მაქვს. ამოცანა კი მეტად დიდი. დანიშნულ დროზე იმ სოფელში უნდა გავჩნდე, გადავფრინდები თუ გადავხტავ ამ ოხრადდასარჩენ მთებს, ეგ სულერთია, იქ უნდა გავჩნდე უსიკვდილოდ.

— დამშვიდდით! მე მოკლე გზა ვიცი, უფრო ადრეც ჩაგიყვანთ.

როცა მარიადამ გაიგო, რომ მე ქართველი ვიყავი, უჩვეულო ხალისი დაეტყო. მე ეს გამიკვირდა.

— მე მიყვარს ქართველები, — მითხრა მან ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ.

— განა საქართველოში ყოფილხართ?

— არასოდეს. მაგრამ მაინც ვიცი სად მდებარეობს საქარ-

„ალბომ

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲣᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

სექტემბერში ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფელ ლეშენსკაიაში ვიყავით. ეს პატარა სოფელი მთის შეფენებაზეა გაშენებული, ნალჩიკიდან მომავალ ფართო შარაგზის პირას; ჩვენი პოლკი, რომელშიც ჩემი ასეულიც შედიოდა, სწორედ აქ შეჩერდა.

— ამხანაგო ასეულის მეთაურო! აი, ეს ბაკი ჩვენთან არის გამოგზავნილი, — მიმითითა ზემდეგმა მაღალი ტანის, შავ, გახუნებულ კოსტუმში გამოწყობილ კაცზე. მე შევხედე ახლადმოსულს და სახტად დავრჩი. მაშინვე ფეხზე წამოვხტი. სრულიად მოულოდნელი იყო ფრონტის წინა ხაზზე პოეტი გიორგი ჭუჩიშვილის გამოჩენა. მივუახლოვდი და ხელი მხურვალედ ჩამოვართვი.

— პატივცემულო გიორგი, აქ საიდან, როგორ?! — შევეხმიანე მას და ჩრდილქვეშ მივიწვიე.

გიორგი ჩემს გვერდით ჩამოჯდა, დაღლილობა ეტყობოდა, ჩანდა კარგა მანძილი ჰქონდა ფეხით გამოვლილი.

— ჩვენი მწერლების ბრიგადა ორად გაიყო. — ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო გიორგიმ, — მე და ერემია თქვენს პოლკში მოვხვდით, ირაკლი და კარლო მეზობელ პოლკში წავიდნენ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაგვავალა თქვენთან ჩამოსვლა. გაეგებინა, რომ კარგად იბრძვიან ჩვენი ვაჟკაცები... გვიხარია, ვამაყობთ...

ამასობაში სადილის სიგნალიც მისცეს. ასეულის მოძრავ სამზარეულოსთან ჯარისკაცები გამოჩნდნენ. გიორგი ყურადღებით აკვირდებოდა ფრონტული ცხოვრების ყოველ წვრილმანს, დროგამოშვებით თვალებს ჰორიზონტს მიაპყრობდა და ფიქრებს მიეცემოდა. ცოტა ხნის შემდეგ ზემდეგმა ჩვენი ულუფაც მოგვიტანა. მე და გიორგის ერთად მოგვეხდა გვესადილა, ერთი ქვაბუნიდან. გიორგისათვის ზემდეგმა რომელიღაც ჯარისკაცისაგან ნათხოვი ხ.ს გამოთლილი კოვზი მოიტანა.

— რა კოხტად გამოუთლია, — გაიცინა გიორგიმ კოვზის დანახვაზე. სადილობის შემდეგ იგი ადგა და პოლკის შტაბისაკენ წავიდა. არ გასულა ნახევარი საათი და სალაშქრო დაფდაფის ხმაზე პოლკი ათასეულებად დაეწყო, სოფლის უკან მდებარე ტყისაკენ გაემართა და ტყის შუაგულში გაშლილ პატარა მოედანზე ოთხრიგად გამწკრივდა. მოედნის თავზე პოლკის საბრძოლო დროშას ტყის გრილი ნიავი აფრიალებდა. მწვანე ბალახი ბიბინებდა პატარა ველზე. ვიდექით, ველოდით ბრძანების წაკითხვას. მარჯვენა მხრიდან პოლკის მეთაური გამოჩნდა. მას გვერდით ჩვენი ოფიცრები მისდევდნენ. ახლადჩამოსული მწერლებიც მათთან ერთად იყვნენ.

პოლკის წინ, შუა ადგილას შეჩერდნენ, ოდნავად შესამჩნევ შემაღლებაზე. დაიწყო ახალგაზრდა ლო მიტინგი. პოლკის მეთაურმა მორიგი სიტყვა გიორგი ჭუჩიშვილს მისცა. მებრძოლები სულგანაბულნი უსმენდნენ პოეტის მჭუხარე ხმას. უცებ ჰაერში გაისმა ნაცნობი ზუზუნი. ნალჩიკის მხარეს, ცაზე „მესერშმიტების“ ესკადრილია გამოჩნდა.

— ჰაერი! — გაიცა მყისვე განკარგულება და თვალის დახამხამებაში პოლკი ტყეს შეეხიზნა. ეს ისე უცებ მოხდა, რომ გიორგიმ დაწყებული პირველი სტროფიც ვერ დაამთავრა, თითქოს სიტყვა პირში გაუწყდაო, იდგა ერთხანს გარინდებული და მხოლოდ პოლკის მეთაურის შეძახილის შემდეგ შეაფარა თავი იქვე ახლო მდგომ ბუჩქებს.

მე იმ წუთს დამახსოვდა პოეტის ლექსის მხოლოდ პირველი სტრიქონები. რომლებიც ხელდახელ, პოეტის მიერ იქვე ექსპრომტად იქმნებოდა ქართველ მეომრებთან შეხვედრებით მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად:

„გულმოგუგუნე მჭუხარე ჩანგით,
დღეს თქვენს ბანაკში ძმურად
მოსულნი,
მოგესალმებით“...

თვითმფრინავებმა გადაიქროლეს. კვლავ გამწკრივდა პოლკი. კვლავ გაისმა გიორგი ჭუჩიშვილის მგზნებარე ხმა:

„...მოგესალმებით საგმირო ჯანგით,
თქვენი ბრძოლებით აღტაცებულნი,
ნურც დაგიხრიათ, ძმებო, ეგ
დროშა“...

განაგრძობდა გიორგი, მაგრამ თვითმფრინავებმა ამ დროს კვლავ შემოუარეს ჩვენს ზემოთ სოფელს და კურსი სწორედ ტყისაკენ აიღეს. კვლავ გაისმა განგაშის ხმა, კვლავ დაიმალა პოლკი და ტყეს შეეხამა, მოედნიდან კვლავ ყველაზე გვიან გავიდა გიორგი. ბოლოს, გიორგიმ, როგორც იქნა, დაამთავრა ორსტროფიანი ლექსის ბოლო სტრიქონები:

„ნურც დაგიხრიათ, ძმებო ეგ დროშა,
სისხლით ნაბოძი, წითლად კაშკაშა,
რომ თქვენ, არწივებს
საქართველოსას,
მთებიც მოგძახდეთ, ვაჟკაცურ ვაშას“.

ბოლო სიტყვები პოლკის მებრძოლთა მჭუხარე ტაშმა დაფარა.

ახლა, როცა გიორგი ჭუჩიშვილის თხზულებათა პირველი ტომის 407-ე გვერდზე მოთავსებულ ლექსს „კავკასიის მთებში მოქმედ ქართულ დივიზიას“ ვკითხულობ, მე სიამაყისა და სიხარულის გრძნობა მიპყრობს. ეს ლექსი დაიწერა სოფელ ლეშენსკაიაში, მტრის თვითმფრინავების გააფთრებული თავდასხმის ქვეშ, პოლკის საბრძოლო დროშის შრიალში, ფრონტულ ტრიბუნაზე.



„განთავისუფლება“, ხურათი მხატ. სოკოლოვ-სკალისა.

[illegible]